ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1925 წლის აპრილის 15.	№ 3. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 372. პიროვნების დაზღვევის ხელშეკრულების გამომრჩენთა (საზღაურის მიმღებთა) და მათ უფლებათა შესახებ.

„ 373 ქულინის მარილის საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.

„ 374 საქველმოქმედო და სხვა მიზნით მარკების გამოშვების წესის შესახებ.

„ 375 განსაკუთრებული საუწყებათაშორისო სავალიუტო თათბირის მოწყობის შესახებ.

„ 376. აზერბაიჯანის ს. ს. რ., სომხეთის ს. ს. რ. და საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მოწყობის შესახებ—ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის.

„ 377. დებულება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველოს შესახებ ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის.

„ 378. სასაჭონლო ნიშნების შესახებ.

„ 379. მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის შესახებ.

„ 380. ბლეხთა პატარა წყლის-წისქვილების გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

„ 381. გერმანული საუცხოეთო ფირმების ლიკვიდაციის შესახებ.

„ 382. ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ ამნისტიის თაობაზე მიღებული დადგენილების სისრულეში მოყვანის შესახებ.

„ 383. მოუსავლობისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათათვის შემოღებული ერთიდროული გადასახადის თაობაზე ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კ-ს და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს მიერ 1924 წ. დეკემბრის 22-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 384. ა/კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა და აგრეთვე ა/კ. ს. ფ. ს. რ. უწყებების განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის დროის შესახებ.

„ 385. ა/კ. ცენ. აღმ. კ—ს და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომის, საბჭოს მიერ საგადასახადო კომისიების შედგენილების თაობაზე 1924 წ. დეკემბრის 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 386. მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევის შესახებ.

„ 387. სამეიდრო მსახურთა შეღავათების თაობაზე ა/კ. ს. ფ. ს. რ—ში მომქმედი კანონების გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 388. მუშაობის დროს ამრიდებელ ხელსაწყოთა და სპეციალობის ტანისამოსის აუცილებლად გამოყენების შესახებ.

„ 389. ამხანაგთა მიასნიკოვისა, ათარბეგოვისა და მოგილევსკის და მფრინავთა ამხ. ამხ. შპილისა და საღარაძის გარდაცვლების გამო მთავრობის დაწესებულებათა შენობებზე სამგლო ვიარო ბაირაღის ამართვის შესახებ.

„ 390. ამხანაგთა მიასნიკოვისა, ათარბეგოვისა და მოგილევსკის და მფრინავთა ამხ. ამხ. შპილისა და საღარაძის დაკრძალვის წამს ყველა სახელმწიფო ბაირაღის დაწევის შესახებ.

„ 391. ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის მოქმედებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ სახალხო კომისართა საბჭოსი.

372. პიროვნების დაზღვევის ხელშეკრულების გამომრჩენთა (საზღაურის მიმღებთა) და მათ უფლებათა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გამოქვეყნებულ იქნეს ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის იანვრის 16-ს შემდეგი დადგენილება: „პიროვნების დაზღვევის ხელშეკრულობის გამომრჩენთა და მათ უფლებათა შესახებ“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. თებერვლის 16.

დადგენილება ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახ. კომისართა საბჭოსი.

პიროვნების დაზღვევის ხელშეკრულების გამომრჩენთა და მათ უფლებათა შესახებ.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. პიროვნების დაზღვევის დროს გამომრჩენად (საზღაურის მიმღებად) ჩაითვლება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ის პირი, რომელიც ნაჩვენებია დამაზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულობის დადების დროს და რომელიც აღნიშნულია სადასაზღვეო პოლისში (ან სადასაზღვეო ქვითარში) როგორც გამომრჩენი (სახელობითი პოლისი);

ბ) პოლისისა ან სადასაზღვეო ქვითარის წარმდგენელი, უკეთუ დამაზღვეველის განცხადებით პოლისი გამოწერილია წარმდგენზე (საწარმდგენლო პოლისი);

გ) დამაზღვეველის მემკვიდრე კანონით ან ანდერძით, უკეთუ პოლისში აღნიშნულია, რომ გამომრჩენად ითვლება სათანადო მემკვიდრე კანონით ან ანდერძით.

დ) სახელმწიფო, უკეთუ პოლისში, საერთოდ, გამომრჩენი არ არის აღნიშნული.

2. დამაზღვეველს ნება აქვს დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ, პოლისზე წარწერით ან დამაზღვევის სახელზე შეტანილ ცალკე განცხადებით სახელობითი პოლისი გადააქციოს საწარმდგენელო პოლისად და, პირიქით, აგრეთვე შესცვალოს წინად დანიშნული გამომრჩენი სხვა გამომრჩენად.

უკეთუ გამომრჩენი დანიშნულია თვით პოლისშიე აღნიშვნით ან პოლისზე წარწერით, დანიშნული გამომრჩენის შეცვლა სხვა პირით ან პოლისის წარმდგენლით შეიძლება მხოლოდ იმავე პოლისზე წარწერით.

3. უკეთუ სიკვდილის საშემთხვეოდ დაზღვეულია არა თვით დამაზღვეველი, დაზღვევის ხელშეკრულობის დადება, აგრეთვე გამომრჩენის დანიშვნა და მისი შეცვლა (მუხ. 2) შეიძლება მხოლოდ დაზღვეული პირის წერილობითი თანხმობით.

4. პიროვნების დაზღვევის დროს გამომრჩენის დანიშვნა არ შეადგენს არც საანდერძო განკარგულებას, არც გაჩუქებას. გამომრჩენად შეიძლება დანიშნულ იქნეს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი და სადასაზღვეო საზღაური მიეცემა მას დაზღვევის ხელშეკრულობაში განსაზღვრული როდენობით. დამაზღვეველის სიკვდილის შემდეგ ან დაზღვეული პირის სიკვდილის შემდეგ გამომრჩენისათვის მისაცემი სადასაზღვეო საზღაური არ შედის მემკვიდრეობის მასსაში.

5. გამომრჩენისათვის მისაცემ სადასაზღვეო საზღაურზე არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადასახდელი დამაზღვეველისა ან დაზღვეული პირის ვალისათვის, უკეთუ ეს უკანასკნელი თვით არ არის გამომრჩენი.

სადასაზღვეო საზღაურიდან დამაზღვევს შეუძლიან დაიჭიროს ის თანხა, რაც მას დამაზღვეველისაგან ერგება იმავე დაზღვევის ხელშეკრულობით.

6. პიროვნების დაზღვევის სადასაზღვეო საზღაური და ის თანხები, რაც გაცემულ უნდა იქნეს სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის წესისამებრ, განისაზღვრება და გადახდილ იქნება ერთი-მეორისაგან დამოუკიდებლად და ერთი-მეორის მაგიერ ჩაუთვლელად.

7. დამზღვევი განთავისუფლდება სადასაზღვეო საზღაურის გადახდისაგან შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ სადასაზღვეო შემთხვევა მოხდება დამაზღვეველისა ან გამომრჩენის განზრახვისა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, როდესაც იგი იმავე დროს დაზღვეული არ არის.

ბ) უკეთუ სადასაზღვეო შემთხვევა მოხდება პირველი ორის წლის განმავ-

ლობაში დაზღვევის ხელშეკრულობის დადებიდან დაზღვეული პირის განზრახვის გამო.

8. წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების ცენტ. აღმ. კომიტეტებს შეიტანონ სამოქალაქო სამართლის კოდექსებში სათანადო ცვლილებანი.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური
აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **კალინინი**.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **რიკოვი**.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ენუქიძე**.

მოსკოვი-კრემლი. 1925 წ. იანვრის 16.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 817 №-ში 1925 წ. მარტის 3-ს.

დადგენილება № 27 ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. თებერვლის 18.

(მოწესრიგების სამმართველოსათვის)

373. ქულინის დაუფქვავი მარილის საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.

„ ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების" შესახებ ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პ. თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი,—ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის კომისიის მიერ მე-13 №-რის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 550 №-რი 1924 წ. აპრილის 13-სა) გასაუქმებლად,—ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ქულინის დაუფქვავ მარილზე მარილის სინდიკატისათვის შემდეგი უკიდურესი საბითუმო (ვაგონობით) საგასაცემო ფასები:

ა) ფრანკო—საწყობი მარილის ტრესტისა ბაქოში ერთ ფუთზე სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის 37,25 კაპ., კერძო პირთათვის—39,25 კაპ.;

ბ) ფრანკო—ვაგონი ბაქოს სადგური 1 ფუთზე სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის—39,25 კაპ., კერძო პირთათვის—41,25 კაპ.

2. დაწესებულ იქნეს ქულინის დაუფქვავ მარილზე ცეკავშირისათვის შემდეგი უკიდურესი საბითუმო (ვაგონობით) საგასაცემო ფასები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ფრანკო—ვაგონი, ა/კ. რკ. გზ. რომელ სადგურზედაც უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოში, 1 ფუთზე სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის—56 კაპ,. კერძო პირთათვის—58 კაპ.

3. დაწესებულ იქნეს ქულინის დაუფქვავ მარილზე შემდეგი უკიდურესი საბითუმო, წვრილ-საბითუმო და ცალობითი საგასაცემო ფასები სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის ფრანკო—საწყობი დუქნები აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ქალაქში და ადგილას, რომელიც ა/კ. რკ. გზ-ის სადგურთან მდებარეობს:

დ) სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის, როდესაც გაცემულ იქნება 50 ფუთიდან 1 ვაგონამდე—63,5 კაპ. 1 ფუთზე; 5 ფუთიდან 50 ფუთამდე—66,5 კაპ.; 1 ფუთიდან 5 ფუთამდე—69,5 კაპ.; ხოლო 1 ფუთზე ნაკლები—72,5 კაპ.

ე) კერძო პირთათვის, როდესაც გაცემულ იქნება 50 ფუთიდან 1 ვაგონამდე—65,5 კაპ. ფუთზე; 5 ფუთიდან 50 ფუთამდე—66,5 კაპ.; 1 ფუთიდან 5 ფუთამდე—69,5 კაპ.; 1 ფუთზე ნაკლები—72,5 კაპ.

4. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი წვრილ-საბითუმო და ცალობითი ფასები აღმოს. საქართველოს სოფლის კოპერატივებისათვის იმ ადგილებში, რომელიც მდებარეობს ა/კ. რკ. გზიდან:

ვ) როდესაც გაცემულ იქნება 5 ფუთიდან 50 ფუთამდე—10 ვერსის მანძილზე—77 კაპ., 25 ვერსამდე—92 კაპ., 50 ვერსამდე—1 მან. და 02 კაპ., 100 ვერსისა და მეტ მამძილზე—1 მან. 37 კაპ.;

ზ) როდესაც გაცემულ იქნება 1 ფუთიდან 5 ფუთამდე 82 კაპ., 97 კაპ, 1 მან. და 07 კაპ., 1 მან. და 42 კაპ.;

თ) როდესაც გაცემულ იქნება 1 ფუთზე ნაკლები—85 კაპ., 1 მან., 1 მან. და 10 კაპ., 1 მან და 45 კაპ.

5. მიენდოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში—დაწესოს მთლად აზერბაიჯანის ს. ს. რ. ტერიტორიაზე შემდგომი საბითუმო, წვრილ-საბითუმო და ცალობითი საგასაცემო ფასები სახელმწიფო ვაჭრობისა, კოოპერაციისა და კერძო პირთათვის.

6. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კ. ს. ფ. ს. რ—ში შემავალ რესპუბლიკებში უნდა იქონიონ მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისლის სამართლის კოდექსის მიხედვით, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-
ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 817 №-ში 1925 წლის მარტის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 5 ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წ. თებერვლის 12.

374. საქველმოქმედო და სხვა მიზნით მარკების გამოშვების წესის შესახებ.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქველმოქმედო და სხვა მიზნით მარკების გამოშვების წესის შესახებ—1924 წ. ოქტომბრის 2-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. საქველმოქმედო ან სხვა მიზნით მარკების სახმარებლად გამოშვება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ შეიძლება მარტოდენ ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვით.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ წესის დამრღვევი დაისჯება ა/კ. ს. ფ. ს. რ. შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ.

3. დადგენილება ესე არ გავრცელდება ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ ფოსტით გასაგზავნ საგნებისათვის დასაკრავ მარკების გამოშვებაზე.

4. ამა დადგენილების გამოცემისათანავე გაუქმებულია ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებში ამ საგანზე არსებული ყველა დადგენილება და მთავრობის განკარგულება.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 818 №-ში 1925 წ. მარტის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 6 ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წ. თებერვლის 12.

375. განსაკუთრებული საუწყებათაშორისო სავალიუტო თათბირის მოწყობის შესახებ.

სავალიუტო ფასეულობის საზღვარ-გარეთიდან ა/კ. ს. ფ. ს. რ. საზღვრებში შემოტანისა და საზღვარგარეთ გატანის შესახებ ამიერკავკასიის ცენტრ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 29 თარიღით გამოცემული დადგენილების დასამატებლად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან მოწყობილ იქნეს განსაკუთრებული სავალიუტო თათბირი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში), ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფო ბანკის ა/კ. საოლქო კონტორისა და ა/კ. კავშირის წარმომადგენელთაგან—ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატ[illegible] წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

2. [illegible] [illegible]ებულ სავალიუტო თათბირს დაეკისროს:

ა) მისცეს ხოლმე ნებართვა ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სასაქონლო-საფონდო ბირჟების საფონდო განყოფილებაში წევრად შესვლისა ან მუდმივ დასწრებისა იმ სახელმწიფო (მათ შორის კომუნალურ) და კოოპერატიულ დაწესებულებათ და საწარმოოთ, რომელთაც ამის ნება არა აქვთ მიცემული აღნიშნული ბირჟების წესდებით ან სათანადო კანონდებულებით;

ბ) მისცეს ხოლმე ერთჯერობრივი ნებართვა უცხოეთის ვალიუტის შესაძენად იმ სახელმწიფო (მათ შორის კომუნალურ) და კოოპერატიულ დაწესებულებათ და საწარმოთ, რომლებიც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სასაქონლო-საფონდო ბირჟების საფონდო განყოფილებათა ნამდვილ წევრად ან მუდმივ დამსწრეებად არ ითვლებიან.

გ) გასცეს ნებართვა პატივსადებ შემთხვევაში სავალიუტო ფასეულობის საზღვარგარეთ გატანისა ან გადაგზავნისათვის იმ ნორმაზე ზევით, რაც დაწესებულია ა/კ. ც. ა. კ-სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს 1925 წ. იანვრის 29-ს დადგენილებით (მუხ. 4)

შენიშვნა. ნებართვის მიცემისათვის განსაკუთრებული სავალიუტო თათბირი იხელმძღვანელებს ცნობებს მთხოვნელი დაწესებულებისა და საწარმოს ოპერაციების შესახებ საუცხოეთო ვაჭრობის სფეროში და იმას, თუ რამდენად საჭიროებს იგი უცხოეთის ვალიუტას.

3. განსაკუთრებულ სავალიუტო თათბირს ნება ეძლევა, ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასტურით, მოაწყოს, საჭიროებისდაგვარად, ა/კ. რესპუბლიკების ცენტრებში თავისი ქვემდებარე ადგილობრივი განსაკუთრებული სავალიუტო თათბირები და განსაზღვროს მათი კომპეტენციის ფარგალი ნებართვის მიცემის საქმეში, და აგრეთვე ანგარიშების წესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ა/კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სასაქონლო-საფონდო ბირჟების ყველა წევრი ან მუდმივი დამსწრე მოვალეა წარუდგინოს განსაკუთრებულ სავალიუტო თათბირს დადგენილი ფორმით ცნობები თავისი სავალიუტო ოპერაციების შესახებ, რაც იქნება თვითეული თვის I ლი რიცხვისათვის.

ხოლო ის დაწესებულება და საწარმო, რომელიც მიიღებს განსაკუთრებულ სავალიუტო თათბირისაგან ერთჯერობრივ ნებართვას ვალიუტის შეძენისათვის, წარუდგენს მას ცნობებს თათბირის მიერ დადგენილი ფორმით არა უგვიანეს, ვიდრე სამის თვის განმავლობისა აღნიშნული ნებართვის მიღების დღიდან.

5. ის სახელმწიფო (მათ შორის კომუნალური) და კოოპერატიული დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე კერძო საწარმო და პირი, რომელიც აწარმოებს უცხოეთის ვალიუტის ოპერაციებს და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან მიუღია ნებართვა საზღვარგარეთ საქონლის გატანისათვის, მოვალეა წარუდგინოს, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს მეშვეობით, განსაკუთრებულ სავალიუტო თათბირს,ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ფორმით ⁄ ვადაზე, ანგარიში იმ უცხოეთის ვალიუტის შესახებ, რაც მას საზღვარგარეთ აქვს, აგრეთვე ამ ვალიუტით გაწეული ოპერაციების შესახებ.

შენიშვნა. კერძო პირი და საწარმო მოვალეა იქონიოს მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში ან სავალიუტო ოპერაციების წარმოების უფლების მქონე საკრედიტო დაწესებულებაში მთლად ის უცხოეთის ვალიუტა, რაც, მას მიუღია საზღვარგარეთ საქონლის ექსპორტის თვითეული ოპერაციით.

6. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში აცნობებს განსაკუთრებულ სავალიუტო თათბირს ყველა მის მიერ გაცემულ ნებართვას საქონლის საზღვ-რგარეთ გატანის შესახებ.

7. ინსტრრქციებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი საგარეო ვაჭრობის სახ. კ-ტის რწმუნებულთან (ა/კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში) შეთანხმებით.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ვანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
მდივნის თანამდებ. დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 818 №-ში 1925 წლის მარტის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმას. კომიტეტისა.

1925 წ. თებერვლის 2.

376. აზერბაიჯანის ს. ს. რ., სომხეთის ს. ს. რ. და საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველოს მოწყობის შესახებ — ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ამიერკავკასიის რკინის გზათა ჯანმრთელობის სამმართველოს მოწყობის შესახებ ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. სექტემბრის 24 თარიღით გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებ. 1924 წ. №-6 №-რი, მუხ. 220) დადგენილების გასაუქმებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. რათა ა/კ. რკინის გზების ფარგლებში, რკინის გზების ხაზის ჩათვლით, განხორციელებულ იქნეს სასანიტრო ზედამხედველობა და სამკურნალო დახმარება, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან, ამიერკავკასიის რკინის გზის სამმართველოს სამყოფელი ადგილის მიხედვით, მოეწყოს აზერბაიჯანის ს. ს. რ., სომხეთის ს. ს. რ. და საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველო ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის.

2. აზერბაიჯანის ს. ს. რ., სომხეთის ს. ს. რ. და საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალსო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველო არის ცენტრალური ორგანო, რომელიც განაგებს ა/კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის საქმეს, და რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს რწმუნებული, თანახმად აზერბ. ს. ს. რ., სომხეთის ს. ს. რ. და საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისართაგან პერიოდულად მოწვეული თათბირის დირექტივებისა.

3. სახსარი ა/კ. რკ. გზებზე თანამდებობის პირთა და სამედიკო-სასანიტრო დაწესებულებათა შენახვისათვის შესდგება იმ თანხებიდან, რასაც გაიღებს ა/კ. საგზაო დამზღვევი სალარო, და აგრეთვე ა/კ. რკინ. გზ. გამგეობის დოტაციისაგან.

4. დაევალოს ზემოაღნიშნულ სამმართველოს—შეადგინოს და წარუდგინოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველოს შესახებ ა/კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის დაცვასათვის.

5. ამა დადგენილებისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რასპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველოს დებულების გამოქვეყნებისთანავე—გაუქმებულ იქნეს ა/კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველო და მისი ფუნქციები და ქონება გადაეცეს ახლად დაარსებულ სამმართველოს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატების რწმუნებულისას, ა/კ. რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 819 №-ში 1925 წ. მარტის 5-ს.

დადგენილება № 9 ა.კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისარ-თა საბჭოსი.

377. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველოს დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ — ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

დებულება

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველოს შესახებ ამიერკავკასიის რკინ. გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის.

1. ამიერკავკესიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველო ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის არის ცენტრალური ორგანო, რომელიც განაგებს ამიერკავკასიის რკინის გზების მედიკო სანიტარულ საქმეს და, ამ რკინის გზების სამმართველოს და დაზღვევის სალაროს სამყოფელი ადგილის მიხედვით, იმყოფება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან.

შენიშვნა. რწმუნებულის სამმართველო არ არის დამოკიდებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების განყოფილებათაგან, ხოლო სამკურნალო-სასანიტარო საქმის იმ საკითხების გამო, რომლებიც შეეხება ამა თუ იმ სარკინისგზო ხაზს, იგი შეუთანხმებს თავის მოქმედებას სათანადო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უწყებულ განყოფილებას და სხვა დაინტერესებულ უწყებასა და ორგანიზაციას.

მუხ. 377

2. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველოს ძირითად მიზნებს შეადგენს:

ა) კვალიფიციური სამკურნალო დახმარება გაუწიოს ყველა იმ მცხოვრებს, ვინც დაზღვეულია ამიერკავკასიის რკინის გზების დამზღვევ სალაროში, პენსიონერებს და საგზაო დამზღვევ სალაროში დაზღვეულ მუშებსა და მოსამსახურეებს იმ დამხმარე დაწესებულებისა და საწარმოსი, რომელნიც მომსახურეობას უწევენ ამიერკავკასიის რკინის გზებს, ამ მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახის წევრებს და აგრეთვე საგზაო დამზღვევ სალაროში დაზღვეულ უმუშევართ;

ბ) გაუწიოს სასწრაფო პირველი სამკურნალო დახმარება ამიერკავკასიის რკინის გზებით მიმომსვლელ მგზავრებს (მგზავრთ) და იმ პირთ, ვინც რკინის გზების ფარგალში დაზარალდება;

გ) მოაწყოს პროფილაქტიური ღონისძიებანი ამიერკავკასიის რკინის გზების ფარგლისა, ამ ფარგალში მცხოვრებთა, რკინის გზების შედგენილობისა, აგრეთვე სადგომებისა, რკინის გზების ფარგალში მდებარე სარკინისგზო სახელოსნოებისა, დეპოებისა, დაწესებულებების და საწარმოთა გაჯანსაღებისათვის;

დ) აწარმოოს ბრძოლა ეპიდემიური და სოციალური ხასიათის სენთან რკინის გზების ფარგალში მცხოვრებთა შორის, შეუთანხმდეს ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა სფეროში, მოაწყოს სანიტარული განათლების საქმე, დაიცვას დედობისა, ჩვილობისა და ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის საქმე.

3. აღნიშნულ მიზანთა განსახორციელებლად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებული თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს საერთო დებულებებს ს. ს. რ. კავშირის რკინის გზებზე სამკურნალო-სასანიტრო-პროფილაქტიური საქმის დაყენებისა და მიმართულების შესახებ და ავრეთვე ა კ. ს. ფ. ს. რ ჯანმრთელობის სახალხო კომისართა პერიოდული თათბირების დირექტივებს, რომელი თათბირებიც მოწვეულ იქნება, როგორც რწმუნებულის ინიციატივით, ისე ოვითეული ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განცხადებით.

4. უკეთუ ამიერკავკასიის რკ. გზებზე ან მის მეზობლად მდებარე რკინის გზებზე და ადგილას გაჩნდება ხოლერა, შავი პირი და სხვა საშიში ეპიდემიური ავადმყოფობა, ა/კ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველო, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებთან და რკინის გზების უფროსთთან შეთანხმებით და მათივე მეშვეობით, შუამდგომლობას აღძრავს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გამოცხადებულ იქნეს, რომ რკინის გზა საშიშ ან არასაიმედო მდგომარეობაშია ამა თუ იმ ეპიდემიის გამო.

5. სამმართველო შეიმუშავებს ხოლმე მოქმედების პროგრამას და მუშაობის გეგმას ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვის საქმის ყოველი დარგისათვის ამა თუ იმ რესპუბლიკის ფარგალში და ამ პროგრამას და გეგმას შეუთანხმებს სათანადო რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, წარუდგენს რა საერთო პროგრამას ჯანმრთელობის სახალხო კომისრების თათბირს დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველო შეიმუშავებს სიმედიკო-სასანიტრო დაწესებულებათა შტატებს, რასაც დაამტკიცებს ჯანმრთელობის სახალხო კომისართა თათბირი.

სამმართველო ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა თავის ქვემდებარე სამკურნალო-სასანიტრო დაწესეეულებისა, ორგანიზაციისა და პერსონალის მოქმედებას და სამკურნალო და პროფილაქტიური მედიცინის ყველა დარგს.

მუშაობაში პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად და სახსართა ეკონომიის მიზნით ახალ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა გახსნა (დისპანსერი, სასანიტარო განათლების დაწესებულება და სხვ.) შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან.

6. ამიერკავკასიის რკინის გზებზე მედიკო-სანიტარულ დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა შესანახად საჭირო სახსარი შესდგება ამიერკავკასიის საგზაო დაზღვევის სალაროს მიერ გადადებული თანხებისა და ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობის დოტაციისაგან.

7. საოპერაციო წლის ხარჯთაღრიცხვას შეადგენს რწმუნებულის სამმართველო თვითეული რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ხოლო მთლიანად იგი განიხილება ჯანმრთელობის სახალხო კომისართა თათბირის მიერ სათანადო ორგანოებში წარსადგენად.

8. ურთიერთობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებ შორის განისაზღვრება შემდეგი დებულებებით:

ა) თვითეული რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიოს რკინის გზის ყველა სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებას, რომელიც ამა რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება და, თუ საჭირო იქნება, გადააყენოს, რწმუნებულის მეშვეობით, დაწესებულების მეთაური პირი;

ბ) პასუხისმგებელი და კვალიფიციური პერსონალის დანიშვნა მოხდება სათანადო რესპუალიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის თანხმობით; ხოლო დანარჩენი პერსონალი მიწვეულ უნდა იქნეს შრომის კანონთა კოდექსის მიხედვით;

გ) რკინის გზის სამკურნალო-სასანიტრო დაწესებულებათა ქსელის გასაფართოებლად, რათა რკინის გზის პროლეტარიატს რაც შეიძლება მეტი მომსახურეობა გაეწიოს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სათანადო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა ქსელი ამ კომისარიატთან შეთანხმებით. აგრეთვე, შეძლებისადაგვარად, ისე-კი რომ რკინის გზის პროლეტარიატს რაიმე ზიანი არ მოუვიდეს,—შეიძლება რკინის გზის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა ქსელი გამოყენებულ იქნეს რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების მომსახურეობისათვის;

დ) რწმუნებული პასუხისმგებელია ა/კ. რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისრების თათბირის წინაშე, რესპუბლიკების ჯანმრთელობის გაყოფილებათა ყრილობის წინაშე და წარუდგენს აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპ. და სომხ. სოც. საბჭ. რესპ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებს, სამ თვეში ერთხელ მაინც, წერილობით ინგარიშს სამკურნილო-სასანიტარო საქმის მდგომარეობის შესახებ, როგორც მთლად ამიერკავკასიის რკინის გზების ხაზზე, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფვითეული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, და აგრეთვე სტატისტიკურ ცნობებს დაწესებულ ფორმით და ვადაზე;

ე) განსაკუთრებული გარემოებით გამოწვეული ღონისძიება შეიძლება განახორციელოს სათანადო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა, ხოლო შემდგომამის შესახებ უნდა აცნობოს რაწმუნებულს.

9. ურთიერთობა რწმუნებულის სამმართველოსა და საგზაო დაზღვევის სალაროსა, რკინის გზების სამმართველოსა და სხვ. ორგანიზაციებ შორის მოწესრიგდება საამისოდ გამოცემული სათანადო დებულებით.

რწმუნებულის სამმართველოს სტრუქტურა.

10. სამმართველოს სათავეში სდგას საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი აზერბაიჯანის ს. ს. რ., სომხეთის ს. ს. რ. და საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულობით; იგია ხელმძღვანელი მედიკო-სასანიტრო საქმისა ა/კ. რკინის გზებზე და კრედიტების განმკარგულებელი.

11. რწმუნებულს ჰყავს მოადგილე, რომელსაც დანიშნავს რწმუნებულივე რესპუბლიკების ჯანმრთელობის ხახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

12. რწმუნებულის არყოფნის დროს მოადგილეს აქვს ყველა მისი უფლება.

13. განყოფილებათა გამგეების თანამდებობაზე კანდიდატებს დაასახელებენ ნაციონალური რესპუბლიკები და მათ დანიშნავს რწმუნებული.

14. რწმუნებულის სამმართველო შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან:

ა) ადმინისტრატიულ-სამეურნეო, ბ) სასანიტარო-საეპიდემიო და გ) სამკურნალო.

15. ამიერკავკასიის რესპ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებული ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის და მისი სამმართველო საფინანსო სფეროში ექვემდებარებიან ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატს და ანგარიშვალდებულ არიან მის წინაშე.

ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება.

16. საერთო ქვეგანყოფილება:

ა) განახორციელებს ყველა სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულების მოქმედების საერთო მეთვალყურეობას, ინსტრუქტორობასა და ინსპექტორობას გაგაუწევს ადმინისტრატიულ სფეროში სამმართველოს ქვემდებარე დაწესებულებათ და ხელქვეით თანამდებობის პირთ, შეიმუშავებს დებულებებსა და ინსტრუქციებს მათი მოქმედების მოწესრიგებისათვის;

ბ) განაგებს სამმართველოს და მის ქვემდებარე დაწესებულებათა პირად შედგენილობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აწარმოებს ამიერკავკასიის რკინის გზების სამხედრო-ვალდებულ სამედიცინო მომუშავეთა აღრუსხვას, ექიმებისა, კბილის ექიმებისა, ლეკართა თანაშემწეებისა და ფარმაცევტების გამოკლებით;

დ) ხელმძღვანელობას უწევს საერთო კანცელარიას და ანაწილებს სამმართველოში შემოსულ ქაღალდებს განყოფილებათა შორის;

ე) ხელს მოაწერს რწმუნებულის სამმართველოს ყველა მიწერ-მოწერას ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსთან, ა/კ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან და რესპუბლიკების სხვა უმაღლეს დაწესებულებასთან, და აგრეთვე ცირკულირული ხასიათის მიწერ-მოწერას სამმართველოს ქვემდებარე დაწესებულებებთან;

ვ) გააერთიანებს და შეათანხმებს სამმართველოს შედგენილობაში შემავალ განყოფილებათა მოქმედებას;

ზ) შეამზადებს საქმეებსა და დასკვნას შტატებისა და განყოფილებათა გამგებლობის საგნების შეცვლის შესახებ;

თ) განაგებს სამმართველოს არქივს.

17. საფინანსო-სამეურნეო ქვეგანყოფილება განაგებს:

ა) სამმართველოს ფინანსებს;

ბ) სამმართველოს ხარჯთაღრიცხვით ფულად სახსართა მიღებისა და ხარჯვის ოპერაციებს;

გ) ყველა ქვემდებარე დაწესებულების მიერ ფულადი, მატერიალური და საინვენტარო ანგარიშგების წარდგენის წესს, აგრეთვე ამ დაწესებულებებში ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების დაყენების ზედამხედველობის საქმეს, საანგარიშო აპარატებისათვის კონტროლისა და ინსტრუქტორობის გაწევის საქმეს;

დ) სამმართველოს და მისი ორგანოების მატერიალურ-სამეურნეო და სამედიცინო ქონების აღრუსხვის საქმეს;

ე) ყველა მედიკო-სანიტარული დაწესებულების სურსათითა, მასალითა და სამეურნეო ინვენტარით მომარაგების საქმეს;

ვ) რწმუნებულის სამმართველოს ყველა მედიკო-სანიტარული დაწესებულების სასურსათო, სამასალო და საინვენტარო ანგარიშგების საქმეს;

ზ) სასურსათო და სამეურნეო მომარაგების გეგმისა და კვების განაწილების შედგენის საქმეს, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო განყოფილებასთან; აგრეთვე სამმართველოს ყველა დაწესებულებისათვის სამეურნეო ინვენტარისა და მასალის დამზადების გეგმის შედგენის საქმეს;

თ) სამმართველოს და ყველა მისი ქვემდებარე ორგანოს მოსამსახურეთათვის სამუშაო ხელფასის და სხვა სახის კმაყოფის მიცემის საქმეს;

ი) საავადმყოფოებისა, ჩსენონებისა და სამმართველოს ყველა ხელქვეით პირთა და ქვემდებარე დაწესებულებისა და ორგანიზაციის ფულადი სახსარით მომარაგების საქმეს;

კ) რწმუნებულის სამმართველოს და მისი ქვემდებარე მედიკო-სანიტარულ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების შედგენის საქმეს;

ლ) რწმუნებულის სამმართველოს ხელქვეით პირთათვის და ქვემდებარე

ორგანოთათვის მიცემულ ფულად და მატერიალურ სახსართა წესიერად და რაციონალურად დახარჯვისათვის კონტროლის გაწევის საქმეს;

ბ) სათანადო ორგანოსათვის საფინანსო, სამასალო, საპროდუქტო და საინვენტარო ანგარიშის შედგენის საქმეს.

18. ამიერკავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის განყოფილების ინვენტარი მთლად ამიერკავ. რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველოს (ამიერკავ. რკ. გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის) სახელზე ჩარიცხულად ითვლება.

19. სასანიტარო-ეპიდემიოლოგიური განყოფილება შემდეგი ქვეგანყოფილებით:—

1) სოციალური ავადმყოფობათა ქვეგანყოფილებით,

2) სასანიტარო-საგანმანათლებლო ქვეგანყოფილებით,

3) სტატისტიკური ქვეგანყოფილებით,

4) დედობისა და ჩვილობის დაცვისა და ბავშვებისა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის ქვეგანყოფილებით,—

შეიმუშავებს და განახორციელებს ყველა ღონისძიებას პროფილაქტიური მედიცინისა და ეპიდემიებთან, სოციალურ ავათმყოფობასთან და სხვ. ბრძოლის სფეროში.

20. სასანიტარო-ეპიდემიოლოგიური ქვეგანყოფალების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) სასანიტარო ხასიათის საკითხები: წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ასენიზაცია, სპეციალური ღონისძიებანი წყლისა, ჰაერისა, ნიადაგისა, ვოკზალების ჰგიენისა, სავოკზალო დასახლებული ადგილებისა, სასახურის სადგომებისა, რკინის გზის საცხოვრებელი სახლებისა, სახელოსნოებისა, დეპოებისა და სხვ. დაცვისათვის; ამბულატორიებისა და სამრეცხველოების საქმე; სადეზინფექციო საქმე; საქმელ-სასმელისა და საბინაო სანიტარია; მეთვალყურეობა გზის კუთვნილი სადგომების სანიტარულ-ტეხნიკური მდგომარეობისათვის; სანიტარულ-ტეხნიკური საკითხების შემუშავება საალმშენებლო-სარემონტო სფეროში;

ბ) ეპიდემიოლოგიური ხასიათის საკითხები: ეპიდემიებთან ბრძოლა რკინის გზების მასშტაბით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან; ყვავილის აცრა; საბაქტერიოლოგიო საქმე (სალაბორატორიო საქმის მოწყობა და ხელმძღვანელობა); რკინის გზების ფარგლის სანიტარული დაცვის საკითხების შემუშავება და მათი პრაქტიკულად განხორციელება სათანადო ორგანოების მეშვეობით;

გ) სოციალურ ავათმყოფობათა საკითხები და პროფესიონალურ ავადმყოფობათა შესწავლა; სოც. ავათმყოფობასთან (ჭლექი, მალარია, ვენერიული სენი და ალკოჰოლიზმი) ბრძოლის საკითხების შემუშავება და მათი პრაქტიკულად განხორციელება;

დ) ინსტრუქტორობისა და ხელმძღვანელობის გაწევა სარაიონო სასანიტარო ექიმების მუშაობისათვის და სასანიტარო პერსონალის კვალიფიკაციის გაფართოებისათვის სათანადო ღონისძიებათა მიღება; თანაც ქვეგანყოფილება თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედებას შეუთანხმებს სამმართველოს სამკურნალო განყოფილებათ და სხვა დაინტერესებულ უწყებათ და ორგანიზაციათ;

ე) სასანიტარო-საგანმანათლებლო ხასიათის საკითხები: სანიტარული უცოდინარობის ლიკვიდაცია; მეტრანსპორტეთა შორის საჰგიენო და სამედიცინო ცოდნის გავრცელება; სამეცნიერო-პოპულიარული ლიტერატურის გამოცემა; ლექციებისა და საუბრებისა, გამოფენისა და მუზეუმების მოწყობა; სამეცნიერო კრებულებისა და ამიერკავ. რკინის გზებს ექიმების ნაშრომთა გამოცემა;

ვ) სტატისტიკური ხასიათის საკითხები: მედიკო-სტატისტიკური რეგისტრაციის და ანგარიშგების წესებისა და ფორმების გამოცემა; ექიმებისათვის ინსტურქტორობის გაწევა; პასუხების შედგენა ავადმყოფობათა მდგომარეობის შესახებ და სიკვდილის მიზეზთა საექიმო რეგისტრაცია.

ზ) მალარიასთან ბრძოლის საკითხები: მალარიასთან ბრძოლისათვის ყოველგვარ ღონისძიებათა გამორკვევა და განხორციელება სომხეთისა, აზერბაიჯანისა და საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების ანალოგიურ დაწესებულებებთან კონტაქტის დაჭერით; ხელმძღვანელობის გაწევა მალარიის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციებისათვის.

21. დედობისა და ჩვილობის დაცვისა და ბავშვებისა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის ქვეგანყოფილება შეიმუშავებს და განახორციელებს სათანადო ღონისძიებათ ამ სფეროში; ეწევა საერთო მეთვალყურეობას სასკოლო სანიტარიის საქმის დაყენებისათვის; ინსტრუქტორობას და ხელმძღვანელობას უწევს სასკოლო-სასანიტარო ექიმებისა და ბავშვთა სახლების ექიმების მოქმედებას და ფიზიკური კულტურის საქმეს; განახორციელებს აბორტთან დაკავშირებულ საკითხებს, სათანადო რესპუბლიკის კანონდებულებათა თანახმად.

22. სამკურნალო განყოფილება-საფარმაცევტო და კბილის ექიმობის ქვეგანყოფილებებით:

ა) შეიმუშავებს და განახორციელებს სათანადო ღონისძიებათ მეტრანსპორტეთა, მათი ოჯახებისა, ამიერკავკასიის საგზაო დამზღვევე საღაროში დაზღვეულ პირთა— ოჯახებითურთ, სალაროს პენსიონერთა და მე-2 მუხ. ლიტ. „ბ"-ში აღნიშნულ პირთათვის სამკურნალო დახმარების გაწევის სფეროში;

ბ) შეიმუშავებს ზოგადი და სპეციალური ტიპის სამკურნილო დაწესებულებათა ქსელის საერთო გეგმას;

გ) შეიმუშავებს ღა განახორციელებს სასანიტარო-საკურორტო დახმარების გეგმას;

დ) ხელმძღვანელობას გაუწევს კბილის ექიმობისა და კბილის სატეხნიკო დახმარების საქმეს;

ე) ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას გაუწევს ყველა სამკურნალო-საკონტროლო კომისიის მოქმედებას;

ვ) შეიმუშავებს საპროტეზო საკითხებს;

ზ) ინსტრუქტორობას და კონტროლს გაუწევს ყველა სამკურნალო დაწესებულებას;

თ) ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა საფთიაქო დაწესებულებას და მათთვის ყველა საჭირო საგნების რეგულიარულად მიწოდების საქმეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) აწარმოებს ყველა საფოთიაქო დაწესებულების კონტროლს მედიკამენტების წესიერი შენახვისა, აღნუსხვისა, დამზადებისა და გაცემის სფეროში.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმასრ. **ს. ლეკიშვილი,**

ტფილისი – სასახლე. 1925 წ. მარტის 20.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წლის თებერვლის 12.

378. სასაქონლო ნიშნების შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მუხ. 1. ყველა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს უფლება ეძლევა იხმაროს სასაქონლო ნიშნები, რათა ის საქონელი, რასაც იგი ამზადებს ან ასაღებს. განასხვაოს სხვა საწარმოთა საქონლისაგან.

მუხ. 2. სასაქონლო ნიშნად ჩაითვლება 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნით საქონელზე ან მის სახვევზე დასმული მუდმივი განმასხვავებული ნიშანი, როგორიც არის, მაგალითად: დაღი, პლომბა, ჭდე, ეტიკეტი, ვინიეტი, იარლიკი, ყდა, ნახატი, აგრეთვე დევიზი, ორიგინალური სიტყვები, მათი შეხამება და ასახვა და ორიგინალური სახვევი.

მუხ. 3. სასაქონლო ნიშანზე აღნიშნული უნდა იყოს საწარმოს ფირმა და საწარმოს სამყოფელი ადგილი.

მუხ. 4. აკრძალულია სასაქონლო ნიშნად ხმარება:

ა) ისეთი ნიშნისა, რომელიც საკმარისად არ განსხვავდება სხვა საწარმოს სასაქონლო ნიშნისაგან, რაც უკვე რეგისტრაციაქმნილია (მუხ. 6);

ბ) ისეთი ნიშნისა, რომელიც შეიცავს სხვა საწარმოს ფირმას ან სახელწოდებას;

გ) ისეთი ნიშნისა, რომელსაც კონტრ-რეეოლიუციონური და პორნოგრაფიული ხასიათი ექნება;

დ) ისეთი ნიშნისა, რომელიც შეიცავს ყალბ ცნობას ან ისეთ ცნობას, რასაც შეუძლიან ხალხი შეცდომაში შეიყვანოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ისეთი ნიშნისა, რომელიც შეიცავს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის გამოხატულებას;

ვ) ისეთი ნიშნისა, რომელიც შეიცავს სახელმწიფო ღერბის გამოხატულებას;

შენიშვნა. სახელმწიფო საწარმოს შეუძლიან მოათავსოს სასაქონლო ნიშანში სახელმწიფო ღერბის გამოხატულებაც.

მუხ. 5. სასაქონლო ნიშნად არ ჩაითვლება:

ა) ნიშანი, რომელიც საყოველთაოდ იხმარება, როგორც ამა თუ იმ სახის საქონლის მაჩვენებელი;

ბ) ნიშანი, რომელიც შესდგება ისეთი სურათისაგან, ცალკე ასოებისაგან, სიტყვებისაგან ან ციფრებისაგან, რასაც თავისი შინაარსით, წყობით ან შეხამებით არ აქვს თავისებური განმასხვავებელი თვისება (მუხ. 2.);

გ) ნიშანი, რომელიც მარტოოდენ აღნიშნავს საქონლის დამზადების საშუალებას, დროს ან ადგილს, ფასს, ზომას ან წონას და აგრეთვე საქონლის შედგენილობას, ხარისხსა და დანიშნულებას.

მუხ. 6. ყველას, ვინც კი ხმარობს ისეთ ნიშანს, რომელიც გატარებულია რეგისტრაციაში და გამოქვეყნებული ამა დადგენილების მე-9 და შემდგომ მუხლებში აღნიშნული წესისამებრ, შეუძლიან მოითხოვოს სხვა საწარმოს მიერ ასეთივე ნიშნის ხმარების აკრძალვა, უკანონოდ დასმული ნიშნის მოხსნა და გაუქმება და აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურება საერთო საფუძველზე. მოსარჩელეს თხოვნით სასამართლო დაადგენს, რომ გადაწყვეტილება საქმის შესახებ გამოქვეყნებულ იქნეს მოპასუხის ხარჯით.

მუხ. 7. უკეთუ სასაქონლო ნიშნის ხმარება არღვევს მე-4 მუხლის „ა“ „ბ“ და „დ“ პუნქტების წესებს და საფრთხეს უქადის სახელმწიფოს ან მომხმარებლის ინტერესებს, უფლება სარჩელის აღძვრისა ნიშნის უკანონოდ ხმარების მოსპობის შესახებ, დაზარალებულთან ერთად, ეკუთვნის ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს, მის რწმუნებულთან და ადგილობრივ განყოფილებათ და აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

მუხ. 8. სათანადო შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის ხმარების წესების დამრღვევი პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

მუხ. 9. სასაქონლო ნიშნის ხმარების განსაკუთრებული უფლების მოსაპოებლად (მუხ. 6) 1-ლ მუხლში აღნიშნული ესა თუ ის საწარმო რეგისტრაციას გაუკეთებს თავის ნიშანს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

მუხ. 10. სასაქონლო ნიშნის წარდგენა და რეგისტრაცია მოხდება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში განცხადების შეტანით, რომელ განცხადებასაც დაერთვის სამ ცალად ნიშნის აღწერა და მისი სურათი. ამასთანავე უსათუოდ აღნიშნულ უნდა იქნეს, თუ რა საქონლისათვის არის განზრახული წარდგენილი ნიშანი.

მუხ. 11. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო განიხილავს წარდგენილ სასაქონლო ნიშნს და, უკეთუ სცნობს, რომ იგი შეეფერება ამა დადგენილებ ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებს, მისცემს განცხადების შემტანს მოწმობას წარდგენილი ნიშნის თაობაზე; წინაალმდეგ შემთხვევაში უარს ეტყვის განმცხადებელს მოწმობის მიცემაზე, და აცნობებს მას უარის საფუძველს.

უარის თქმა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, მე-4 და მე-5 მუხლში აღნიშნული საფუძვლით, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სასამართლოში ან საარბიტრაჟო კომისიაში—კუთვნილებისამებრ.

მუხ. 12. მე-11 მუხლში აღნიშნული მოწმობა გაცემულ იქნება მას შემდეგ, რაც განმცხადებელი შეიტანს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი სასაქონლო ნიშნის 25 ცალს.

მუხ. 13. უკეთუ ერთსა და იმავე სასაქონლო ნიშნის შესახებ შეტანილ იქნება რამდენიმე განცხადება, მოწმობა მიეცემა იმას, ვინც უფრო ადრე დაიწყო ამა თუ იმ ნიშნის ხმარება; უკეთუ ნიშანი არც ერთ განმცხადებელს არ უხმარია, მოწმობა მიეცემა იმას, ვინაც სხვებზე ადრე შეიტანა განცხადება.

მუხ. 14. განცხადება შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით—დაზღვევით. ამ შემთხვევაში განცხადების შეტანის დღედ ჩაითვლება წერილის გაგზავნის დღე, რომელიც აღნიშნული იქნება ფოსტის შტამპით.

მუხ. 15. სასაქონლო ნიშნის მოწმობის ვადა განისაზღვრება განმცხადებლის სურვილისამებრ. ვადის გასვლისას მოწმობა შეიძლება განახლებულ იქნეს. სასაქონლო ნიშნის მოწმობის მიცემისა და აგრეთვე გაცემული მოწმობის მოქმედების მოსპობის შესახებ (მუხ. 18 და 20) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო გამოაქვეყნებს ცნობას ოფიციალურ ორგანოში განმცხადებლის ხარჯით და თანაც დაწვრილებით აღწერს სასაქონლო ნიშანს, ხოლო, თუ საჭირო იქნება, დაურთავს ნიშნის სურათსაც.

მუხ. 16. ყველა ნიშნისათვის, რაზედაც გაცემულია მოწმობა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აწარმოებს რეესტრს და შეადგენს ამ ნიშნების ალბომს, რომელიც წარედგინება მსურველს გადასათვალიერებლად. ამ ნიშნების თითო ცალს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო გაუგზავნის ს. ს. რესპუბლიკების კავშირისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს, რათა შედგენილ იქნეს ამგვარივე ალბომები, რაც ყოველ მსურველს წარედგინება გადასათვალიერებლად.

მუხ. 17. სასაქონლო ნიშნის მოწმობის მიცემა არ უსპობს სხვა პირს უფლებას მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტისა და მე-6 მუხლის საფუძველზე, ერთი წლის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა, წარადგინოს განცხადება აღნიშნული მოწმობის გაბათილების შესახებ.

ამგვარივე განცხადების შეტანა ერთი წლის განმავლობაში შეუძლიან ა/კ. ს. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს და ეკონომიურ საბჭოებს, უკეთუ მოწმობა გაცემულია ისეთი ნიშნის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება 3, 4 და 5 მუხლს.

მუხ. 18. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მიიღებს მე-17 მუხლით გათვალისწინებულ განცხადებას და განიხილავს მას ერთი თვის განმავლობაში. უკეთუ ცნობილ იქნება, რომ განცხადება სწორია, ეს უნდა ეცნობოს მოწმობის

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონს, რომელსაც უფლება აქვს, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ცნობის მიღებისა, განსაჩივროს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სასამართლოს წესით ან საარბიტრაჟო კომისიაში—კუთვნილებისამებრ. უკეთუ დადგენილება თავის დროზე არ იქნა განსაჩივრებული ან უკეთუ სასამართლო (საარბიტრაჟო კომისია) საჩივარს არ დაკმაყოფილებს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო გააუქმებს მოწმობას და გამოაქვეყნებს ცნობას ამას შესახებ (მუხლი 15).

უკეთუ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო სცნობს რომ განცხადება სწორი არ არის, იგი აცნობებს ამას განმცხადებელს (მუხ. 17), რომელსაც უფლება აქვს ორი კვირის განმავლობაში დღიდან ცნობის მიღებისა განასაჩივროს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საამისო დადგენილება სასამართლოს წესით ან საარბიტრაჟო კომისიაში --კუთვნილებისამებრ, და თანაც უსათუოდ ჩააბამს საქმეში მოწმობის პატრონს.

მუხ. 19. სასაქონლო ნიშნის უფლებისა და აგრეთვე ამ ნიშნის შესახებ მიღებული მოწმობის უფლების გადაცემა შეიძლება მხოლოდ საწარმოს ან მისი ნაწილის გადაცემასთან ერთად, უკეთუ ეს ნაწილი შეადგენს ცალკე წარმოებას, და უკეთუ გადასაცემი სასაქონლო ნიშანი განზრახული იყო იმ საქონლისათვის, რასაც ეს წარმოება ამზადებს.

როდესაც საწარმო გასხვისებულ იქნება ან როდესაც იგი, პატრონის გარდაცვალების გამო, უფლების მონაცვლეს გადაეცემა,—უფლება სათანადო სასაქონლო ნიშნის ხმარებისა გადადის საწარმოს ახალ პატრონზე.

უკეთუ საწარმო ან მისი ნაწილი გაცემულ იქნება იჯარით,--უფლება სათანადო სასაქონლო ნიშნის ხმარებისა იჯარის ვადის განმავლობაში გადადის მოიჯარადრეზე.

ახალი პატრონი ვალდებულია არა უგვიანეს 6 თვისა იმ დღიდან, როცა საწარმო მას გადაეცა, წარუდგინოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოწმობა იმ აქტის ოფიციალური ასლის თანდართვით, რაც დაადასტურებს საწარმოს გადაცემას ან საწარმოს იჯარით აღებას. ამის მიხედვით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო გააკეთებს სათანადო შენიშვნას მოწმობაზე და გამოაქვეყნებს ცნობას ნიშნის უფლების გადასვლის შესახებ.

მუხ. 20. სასაქონლო ნიშნის მოწმობა გაუქმდება:

ა) უკეთუ საწარმოს ლიკვიდაცია მოხდება;

ბ) მოწმობის პატრონის თხოვნით;

გ) უკეთუ ვადის გასვლისას მოწმობა განახლებულ არ იქნება;

დ) უკეთუ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 6 თვის განმავლობაში (მუხ. 19) არ ეცნობება საწარმოს გადასვლა და ნიშნის უფლების გადაცემა;

ე) უკეთუ ცნობილ იქნება, რომ პატრონს არ აქვს უფლება იხმაროს ნიშანი (მუხ. 17 და 18).

მუხ. 21. უფლების მიცემა იმ უცხოეთის საწარმოს სასაქონლო ნიშანზე, რომლის პატრონსაც აქვს სამოქალაქო უფლება-უნარიანობა ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში, მოხდება იმ წესით, რაც დამყარებულია ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის საწარმოთა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საწარმოთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 22. სასაქონლო ნიშნის მიცემისათვის დაწესდება ბაჟი ათი მანეთის რაოდენობისა წლიურად მოწმობის მოქმედების ვადის მიხედვით.

მუხ. 23. აღნიშნული ბაჟი გადახდევინებულ უნდა იქნეს იმ დროს, როდესაც მოწმობა ფაქტიურად ეძლევა განმცხადებელს, მაგალითად: კერძო პირს, საავჭრო-სამრეწველო საწარმოს, სახელმწიფო ორგანიზაციას და სხვა შენაერთს, რომელიც განთავისუფლებულ არ იქნება სახელმწიფო სარეწავი გადასახადისაგან.

მუხ. 24. უკეთუ მოწმობა განახლებულ იქნება, როგორც იმ შემთხვევაში როდესაც ამა თუ იმ მოწმობას, ვადის გასვლის გამო, ძალა დაეკარგა, ისე იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო ნიშანი გადატანილ იქნა ახალი პატრონის სახელზე, გადახდილ უნდა იქნეს განსაკუთრებული ბაჟი ერთდროულად ხუთი მანეთის რაოდენობისა.

მუხ. 25. გადახდევინებული ბაჟი შეტანილ უნდა იქნეს ფინანსთა სახ. კომისარიატის სალაროში უშუალოდ.

მუხ. 26. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაეკისრება, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუალიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქციები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

მუხ. 27. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მომქმედი დადგენილებანი ამ საგანზე გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმასრ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 819 №-ში 1925 წ. მარტის 5-ს.

დადგენილება № 13 ამიერკავკასიის შრომის სახალ. კომისარიატისა და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. თებერვლის 27.

379. მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებულ იქნეს ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე მოქმედება ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის 1925 წ. თებერვლის 3-ს თარიღითა და 25/3 №-რით გამოცემული დადგენილებისა: „მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის შესახებ“—ამა დადგენილების I-ლი მუხ. იმ ცვლილებით, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობის დაწყების დროდ დაწესებულია დილის 9 საათი, ხოლო დამთავრების დროდ $15^1/_2$ საათი.

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა
ინსპექციის სახალხო კომისარი **ნაზარეთიანი.**

გამოქვეყნებულია „ტრუდ“-ის 29 №-ში.

დადგენილება ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა და ს. ს. რ. კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა 1925 წლის თებერვლის 3-ს თარიღითა და 25/3 №-რით.

1925 წ. თებერვლის 5.

მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის შესახებ.

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების მდგომარეობა მოითხოვს მუშათა კლასისაგან მთელი ძალ-ღონის დაძაგვრას შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. საქარხნო-საფაბრიკო საწარმოებში ამ მხრივ უკვე მიღებულია ღონისძიებანი და სჩანს კიდეც მიღწევები, ხოლო დაწესებულებებში მომუშავე მოსამსახურეთა შრომის ნაყოფიერება და შრომის დისციპლინის მდგომარეობა ამ ჟამად არ არის დამაკმაყოფილებელი.

სამუშაო დღე საკმაოდ როდია დატვირთული და სისავსით გამოყენებული; მოსამსახურენი დროსა ჭკარგავენ პურის ჭამაზე, მეცადინეობას სწყვეტენ დასასვენებლად და ყველაფერი ეს ჰხდება ნორმალურ სამუშაო დროს. განსაკუთრებით აშკარად სჩანს მოსამსახურეთა მასიური და სისტემატიური დაგვიანება სამსახურში და სამუშაოს მიტოვება დაწესებულ დროზე ადრე. ბევრ დაწესებულებაში არ არსებობს საკმაოდ მტკიცე დისციპლინა, მოსამსახურენი ვერ იჩენენ საპირო სიმტკიცეს საქმის აღსრულებაში და მუყაითობას მუშაობაში და ვერ იძლევიან შრომის სრულ ინტესიობას. ამასთან ერთად ხშირია ის მოვლენა, რომ დაწესებულებათა ადმინისტრაციები არავითარ ღონისძიებას არ იღებენ დაწესებულებათა ამ ნაკლის მოსასპობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნავენ-რა ამ მდგომარეობას, ს. ს. რ. კავშირის მუშათა და გლეხთა სახ. კომისარიატი და ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენენ:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო დმწესებულებას დაიწყოს მუშაობა დილის 10 საათზე და დაასრულოს დღის 16 $^1/_2$ საათზე. პურის ჭამის წესი მიღებულ უნდა იქნეს ისეთი ანგარიშით, რომ პურის ჭამის დრო არ აღემატებოდეს 30 წამს და არ არღვევდეს დაწესებულების მუშაობის ნორმალურ მსვლელობას

შენიშვნა. სამუშაოზე გამოცხადების დრო ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომელთა სამუშაო დღე განსაზღვრული არ არის.

2. რათა მეცადინეობა ფაქტიურად დანიშნულ დროს იწყებოდეს, დაევალოს ყველა მოსამსახურეს—მეცადინეობის დაწყებისათვის დაუგვიანებლად გამოცხადდეს და შეუდგეს მუშაობას; აგრეთვე შესწყვიტოს მუშაობა საამისოდ დანიშნულ დროს.

3. დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა შემოიღოს სამუშაოზე მოსვლისა და სამუშაოდან წასვლის კონტროლის ფორმები დაწესებულების ხასიათის მიხედვით: საფაბრიკო-საქარხნო სისტემა ტაბელის დაფებისა და სანომრო მარკებისა, საკონტროლო საათებისა და სხვა ამგვარი.

4. დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მიიღოს ღონისძიება თვით დაწესებულების შიგნით სამსახურის დისციპლინის გასაძლიერებლად და სამსახურში დაგვიანებისა ან სამსახურიდან ადრე წასვლის მოსასპობად; აგრეთვე სამსახურის დროს პირად საქმეებზე სამუშაოდან წასვლისა ან ყველა სხვა ისეთი მოვლენის თავიდან ასაცილებლად, რაც იმას იწვევს, რომ მომუშავენი სამუშაო დროს ანდომებენ სამსახურისათვის გარეშე მიზნებს. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დამნაშავეს უნდა დაედოს დისციპლინარული სასჯელი, თვით სამსახურიდან დათხოვნამდეც-კი.

5. ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივმა და კოოპერატიულმა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ ერთი თვის ვადაზე უნდა გადასინჯოს მომქმედი შინაგანი განწესრიგება და შესცვალოს იგი ამა დადგენილებასთან შეთანხმებით.

6. შრომის სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის ორგანოებს დაევალებათ სასტიკი მეთვალყურეობა იქონიონ ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო
კომისრის მაგიერ **ბახუტოვი.**

ს. ს. რ. კავშირის მუშათა და გლეხთა
ინსპექციის სახლხო კომისარი **კუიბიშევი.**

შეთანხმებულია სრ. რუს. პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოსთან. **დოგადოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 821 № ში 1925 წ. მარტის 7-ს.

დადგენილება № 11 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. თებერვლის 26.

380. გლეხთა პატარა წყლის-წისქვილების გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

გლეხთა პატარა წყლის-წისქვილები, რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვთ, განთავისუფლდება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1922 წ. დეკემბრის 27 თარიღისა და 29 №-რის დადგენილებით ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემოღებული სამამძრაკებლო გადასახადისაგან.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

შრომის დაცვის განყოფილების გამგე **გოდაბრელიძე.**

სატეხნიკო სექციის გამგე **ზევალდი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 895 №-ში 1925 წლის მარტის 12-ს.

დადგენილება № 7 აკ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისარიატ საგჭოსი.

381. გერმანული საუცხოეთო ფირმების ლიკვიდაციის შესახებ.

I. რადგანაც მთავარი საკონცესიო კომიტეტის მიერ მიცემული ვადა შინაგაჭრობის სახალხო ალმისარიატის ორგანოებთან მოლაპარაკების წარმოებისათვის ხელშეკრულების დადების შესახებ უკვე გავიდა და ეს ვადა გამოყენებულ არ იქნა, გერმანული ფირმები: 1) კავკასიის საქონლის გაცვლა-გამოცვლისა, 2) კავკასიის საზოგადოება ღვინის წარმოებისა და გასაღებისა, 3) გერმანია—შავიზღვის კომპანია ზელგორსტი და შრეიდერი, 4) ამხანაგობა ვ. ფ. ტრესტერი და კომპ., 5) საექსპორტო-საიმპორტო საზოგადოება რიხარდ და კომპ., 6) აღმოსავლეთის სავაჭრო საზოგადოება პილ და ფელინგი, 7) კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო საააქციო საზოგადოება, 8) კონტინენტალური საბანკო და სავაჭრო საზოგადოება (პიუტენ და კომპ.) და 9) სავაჭრო სახლი ძმ. ფრანკებისა ვალდებულ არიან მოახდინონ ლიკვიდაცია ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე თავიანთი წარმომადგენლობისა, კონტორებისა, განყოფილებებისა და სხვ. ერთი კვირის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, თვინიერ რაიმე ოპერაციის წარმოებისა ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე.

II. ყველა გარეგანი საფირმო ნიშანი (წარწერა და სხვ.) მოხსნილ უნდა იქნეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ ვადაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ფირმების კუთვნილ ხელთ ქონებულ საქონელს ლიკვიდაცია უნდა ექნეს ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

IV. საქონლის ნაშთი, რის ლიკვიდაციაც ვერ მოესწრება ზემოაღნიშნულ ერთი თვის ვადაზე, გაზიდულ უნდა იქნეს ფირმების მიერ საზღვარგარეთ.

V. მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაევალება ს. ს. რ. კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ-ში.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ.
მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. მარტის 14.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 827 №-ში 1925 წლის მარტის 15-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

1925 წლის მარტის 14.

382. საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიცეტის მე-3 სესიის მიერ ამნისტიის თაობაზე მიღებული დადგენილების სისრულეში მოყვანის შესახებ.

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმ:სრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ ამა მარტის 7-ს მიღებული დადგენილების აღსასრულებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—ამა მარტის 17-სათვის სისრულეში მოიყვანონ ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის მიერ ამნისტიის შესახებ მიღებული დადგენილება იმ პირთა მიმართ, ვიზედაც სწარმოებს მოკვლევა და გამოძიება, ვისაც მისჯილი აქვს ფულადი გადასახდელი ან ვინც იხდის სასჯელს რესპუბლიკანური ხელისუფლების ადმინისტრატიულ ან სასამართლო ორგანოთა დადგენილების თანახმად—კუთვნილებისამებრ.

2. დაევალოს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, კავკასიის წითელ დროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალს და ა/კ. საგანგებო კომისიას—ამა მარტის 17-სათვის სისრულეში მოიყვანონ ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მესამე სესიის მიერ ამნისტიის შესახებ მიღებული დადგენილება იმ პირთა მიმართ, ვიზეცაც სწარმოებს მოკვლევა და გამოძიება, ვისაც მისჯილი აქვს ფულადი გადასახდელი ან ვინც იხდის სასჯელს მათი დადგენილებისა და განაჩენის თანახმად —კეთვინლებისამებრ. მუშაობის მსვლელობა და ამა დადგენილების საბოლოოდ შესრულება უნდა ეცნობოს ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მცირე პრეზიდიუმს არა უგვიმნეს ამა მარტის 20 ს რიცხვისა.

3. დაეკისროს ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მცირე პრეზიდიუმს თვალყური ადევნოს, რათა ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მესამე სესიის ამა მარტის 7-ს ამნისტია სისწორით და თანაბრად იქნეს შესრულებული ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მიაწოდოს სათანადო ორგანოებს სახელმძღვანელო განმარტებანი ისეთი საკითხების გამო, რაც ადგილობრივ შეიძლება აღიძრას აღნიშნული ამნისტიის განხორციელების დროს, და აგრეთვე გადასწყვეტოს ხოლმე საჩივარი, რასაც დაინტერესებული პირი შეიტანს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლო და ადმინისტრატიული ორგანოების დადგენილებაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 827 №-ში 1925 წ. მარტის 15-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

383. მოუსავლობისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათათვის შემოღებული ერთდროული გადასახადის თაობაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. დეკემბრის 22-ს თარიღით გამოცემული დადგენილების რედაქციის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მუხ. 1-ლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. დეკემბრის 22-ს დადგენილებისა—მოუსავლობისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათათვის შემოღებული ერთდროული გადასახადის შესახებ („ზარია ვოსტოკა"-ს 766 №-რი 1924 წ. დეკემბრის 30-სა)—მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „დაწესებულ იქნეს 1924—1925 საბიუჯეტო წლისათვის ერთდროული გადასახადი, რაც უნდა გადაჰხდეს, მე-2 მუხ. აღნიშნული გამონაკლისით, ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფარგლებში მუდმივ მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შესრულებია".

2. აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტები: „ლ) დიპლომატიური კორპუსის შედგენილობის პირნი; გ) უცხოეთის დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის თანამშრომელნი, რომელნიც დიპლომატიური კორპუსის შედგენილობაში არ შედიან,—ურთიერთი მაგიერობის საფუძველზე".

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. თებერვლის 28.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 832 №-ში 1925 წ. მარტის 20-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

384 **ა/კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა და აგრეთვე ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. უწყებების განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის დროის შესახებ.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ა/კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის დეკრეტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შესახებ—1923 წ. მაისის 7 თარიღით—გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1923 წ. მე-8 №-რი, მუხ. 98) დეკრეტის გასაუქმებლად და ა/კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართა საბჭოს მიერ—ამიერკავ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ—1925 წ. ივნრის 5 თარიღით—გამოცემული („ზარია ვოსტოკა“-ს 773 №-რი 1925 წ. ივნრის 8-სა) დადგენილების დასამატებლად—ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებანი გამოქვეყნდება „ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში“ რუსულ, ქართულ, თურქულ და სომხურ ენაზე, გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში რუსულ, „კომუნისტში“—ქართულ, „მარტაკოჩში“—სომხურ და „ენი-ფიკირში—თურქულ ენაზე.

2. I-ლ მუხლში აღნიშნული დადგენილებანი ძალაში შედიან: ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების მთავარ ქალაქებში და ამ ქალაქების მაზრებში—დღიდან ამა რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ I-ლ მუხლში აღნიშნული ერთ-ერთ გამოცემის სათანადო ნომრის მიღებისა, ხოლო სხვა ქალაქებსა და მაზრებში—დღიდან ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ აღნიშნული ნომრის მიღებისა.

3. ა/კ. ს. ფ. ს. რ. უწყებების განკარგულებანი (დადგენილება, ცირკულიარი, ინსტრქციადა სხვ.), I-ლ მუხლში ჩამოთვლილ გამოცემებში გამოქვეყნებული, ძალაში შედიან მე-2 მუხ. აღნიშნული წესისამებრ; ხოლო მარტოოდენ საუწყებო პერიოდულ განოცემაში გამოქვეყნებული, აგრეთვე საუწყებო გამოცემაში გამოქვეყნებული უწინარეს, ვიდრე 1-ლ მუხ. აღნიშნულ გამოცემებში,—განკარგულებანი ძალაში შედიან ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების მთავარ ქალაქებში—მაზრებითურთ—დღიდან ამ ქალაქებში მყოფი ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელი დაწესებულების მიერ სათანადო ნომრის მიღებისა; იმ შემთხვევაში-კი, უკეთუ საუწყებო აპარატი მოწყობილია სპეციალური ოლქების საფუძველზე,—განკარგულებანი ძალაში შედიან ამ ოლქებისა და მათი ერთეულებისათვის—დღიდან ამა თუ იმ უწყების სათანადო ორგანოს მიერ გამოცემის ნომრის მიღებისა.

4. ის კანონი და განკარგულება, რომელშიაც აღნიშნულია მისი სამოქმედოდ შემოღების ვადა, ძალაში შედის ყველგან ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე მასში აღნიშნულ ვადაზე.

5. ის კანონი და განკარგულება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ იგი სამოქმედოდ შემოღებულია ტელეგრაფით ან რადიოთი, ძალაში შედის ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქების მთავარ ქალაქებში და ამ ქალაქების მაზრებში, აგრეთვე სამაზრო ქალაქებში—მაზრებითურთ—ცენტრალური კომიტეტებისა, საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სამაზრო აღმ. კომიტეტების მიერ ტელეგრამის ან რადიოტელეგრამის მიღების წამიდან.

6. იმ დადგენილებას, რაც არ უნდა იქნეს გამოქვეყნებული, სავალდებულო ძალა აქვს იმ წამიდან, როდესაც მას მიიღებს ღაწესაბულება, რომელსაც იგი ეუწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. აღმასრულებელი კომიტეტები სისწორით აღნუსხავენ 1-ლ მუხლში აღნიშნული ოფიციალური გამოცემების ნომრების მიღების დროს; ასეთივე მოვალეობა დაეკისრება მე-3 მუხ. გათვალისწინებულ საუწყებო გამოცემების მიმართ სათანადო უწყების იმ დაწესებულებას, რომელიც ამ გამოცემებს იღებს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომ. თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. რ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომ. მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე.
1925 წ. თებერვლის 28.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 833 №-ში 1925 წ. მარტის 24-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

385. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საგადასახადო კომისიების შედგენილობის თაობაზე 1924 წლის დეკემბრის 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის დეკემბრის 12-ს დადგენილების საფუძველზე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საგადასახადო კომისიების შედგენილობის შესახებ 1924 წლის დეკემბრის 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა**· საფინანსო ორგანოების მიერ საქციო საზოგადოებათა (სააციო ამხანაგობათა) და საკრედიტო დაწესებულებათა დაბეგვრისათვის შეიძლება დაარსებულ იქნეს განსაკუთრებული საგადასახადო კომისიები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა შედგენილობაც განისაზღვრება ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭ. განსაკუთრებული დადგენილებით".

2. მე-6 მუხლი ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებისა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 6. რესპუბლიკანური საგადასახადო კომისია მოეწყობა ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ან მის მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით; კომისიაში შევლენ: საგადასახადო განყოფილების მმართველი, პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილების გამგე და თითო წარმომადგენელი: რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირისა, ხოლო სადაც ეს უკანასკნელი არ არის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი,—შინა-ვაჭრობის განყოფილებისა, მთავარი ქალაქის საოლქო სასამართლოსი ან სათანადო რესპუბლიკის მთავარი სასამართლოსი და რესპუბლიკანურ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, აგრეთვე ორი წევრი გადამხდელთაგან".

3. იმავე დადგენილების მე-6 მუხლის მე 2 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა** 2. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის გამო შეტანილი საჩივრის განხილვის დროს პროფ. კავშირთა ადგილმბრივ შენაერთს უფლება ეძლევა დანიშნოს კომისიის შედგენილობაში ორი წარმომადგენელი".

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. თებერვლის 28.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 833 №-ში 1925 წ. მარტის 24-ს.

დადგენილება ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

386. მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევის შესახებ.

1. რათა ყოველმხრივ გამოირკვევს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მრეწველობის მდგომარეობა, მოეწყოს ერთდროული სტატისტიკურ-ეკონომიური გამოკვლევა ამიერკავკასიის მრეწველობისა.

2. მრეწველობის გამოკვლევის წარმოება დაეკისროს ა/კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მის მიერვე შემუშავებული პროგრამით და ინსტრუქციით.

3. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყოველი სამრეწველო დაწესებულება, საწარმო და შენაერთი, როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული და კერძო, მოვალეა, მისი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობით, წარადგინოს ვადაზე, ა/კ. ცენ. სტატ. სამმართველოს რწმუნებულთა მოთხოვნისამებრ, ყველა საჭირო ცნობა: წარუდგინოს ცნობების ამოსაკრებად ანგარიშგება, დავთრები, დოკუმენტები და სხვ., დაუბრკოლებლად მიუშვას ხსენებული რწმუნებულნი შენობისა, სადგომისა, მანქანებისა, საწყობებისა და სხვ. უშუალო დეტალური დათვალიერებისათვის და, აგრეთვე, მიუჩინოს მათ დასახმარებლად დათვალიერების დროს მცოდნე პირნი დაწესებულების პერსონალიდან.

შენიშვნა. იმ სამრეწველო დაწესებულებისა, საწარმოს და შენაერთის მდგომარეობის გამოკვლევა, რომლის მოქმედებაც მოწესრიგებულია სათანადო წესისამებრ დამტკიცებული წესდებით, მოხდება ამ წესდებით განსაზღვრულ ფარგალში.

4. ა/კ. ცენტრ. სტატ. სამმართველოს უფლება აქვს მიიწვიოს გამოკვლევის საქმეში სამუშაოდ სახელმწიფო დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამსახურში მყოფი თანამშრომელი-სპეციალისტი მრეწველობის ამა თუ იმ დარგისათვის; ამის შესახებ ა/კ. ცენ. სტატ. სამართვ. შეეთაებმება სათანადო დაწესებულებას.

5. მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევის დრო და ვადა განისაზღვრება ა/კ. ცენ. სტატ. სამმართველოს ცალკე დადგენილებით.

6. ამა დადგენილებაში აღნიშნულ მოთხოვნათა აღუსრულებლობისათვის დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში კანონისამებრ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივნის თან. დრ. აღმას. **ს. ლეკიშვილი**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. მარტის 17.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 833 №-ში 1925 წ. მარტის 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

387. სამხედრო მოსამსახურეთა შეღავათების თაობაზე ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში მომქმედი კანონების გაუქმების შესახებ.

რადგანაც ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ უკვე გამოცემულია კანონთა კოდექსი ს. ს. რ. კავშირის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთათვის შეღავათებისა და უპირატესობის მინიჭების შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გაუქმებულ იქნეს

ა.

ა) ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. თებერვლის 26-ს თარიღისა და 38 №-რის დადგენილება—შრომის ბირჟის სარეგისტრაციო შეღავათების შესახებ ყოფილ წითელარმიელთათვის (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებულის 1923 წ. მე-3 №-რი, მუხ. 23).

ბ) ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ.აპრილის 7-ს თარიღისა და 36 №-რის დადგენილება —წითელარმიელთათვის წერილების შეღავათით მიცემის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებ. 1923 წ. მე-6 №-რი, მუხ. 69).

გ) ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. ნოემბრის 13 ს თარიღისა და 76 №-რის დადგენილება—წითელი არმიისა და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულთათვის შეღავათის მინიჭების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებ. 1923 წ. მე-12 №-რი, მუხ. 245).

დ) მუხ. მე-2 ამიერკავკასიის ცენტრალური აღმ. კ-სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. თებერვლის 11-ს დეკრეტისა—სამხედრო მოსამსახურეთა და სხვათათვის სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის სფეროში შეღავათის მიცემის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებ. 1924 წ. მე-2 №-რი, მუხ. 24) სახედრბრ ის ნაწილი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეთ შეხება.

ე) ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. მარტის 29-ს თარიღისა და 89 № რის დადგენილება—იმ მუშა-მოსამსახურეთა უფლების შესახებ, რომელნიც გაწვეულ იქნებიან ტერიტორიალური სამხედრო ნაწილების ცვალებად შედგენილობაში ან ჯარში გაწვევამდე მომზადებისათვის (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებ. 1924 წ. მე-4 №-რი, მუხ. 72).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ.

წინადადება მიეცეს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გააუქმონ ამა რესპუბლიკების მთავრობათა მიერ გამოცემული კანონები, რაც გათვალისწინებულია სამხედრო მსახურთა შეღავათებისა და უპირატესობის კანონთა კოდექსით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**
ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. თებერვლის 28.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 833 №-ში 1925 წ. მარტის 24-ს.

დადგენილება № 8 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. თებერვლის 17.

388. მუშაობის დროს ამრიდებელ ხელსაწყოთა და სპეციალობის ტანისამოსის აუცელებლად გამოყენების შესახებ.

რადგანაც შემჩნეულია, რომ წარმოებაში ესა თუ ის უბედური შემთხვევა მოხდება ხოლმე მუშების მიერ ამრიდებელ ხელსაწყოთა და სპეციალობის ტანისამოსის გამოუყენებლობის გამო იმ ნორმებით, რაც დადგენილია შრომის სახალხო კომისარიატის მიერ,—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მუშებისათვის მიცემული ამრიდებელი ხელსაწყო (სათვალე, ნიღაბი, რესპირატორი და სხვ.) და სპეციალობის ტანისამოსი აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნეს მუშაობის დროს.

2. შინაგანი განრიგების წესებში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს სათანადო მუხლები მშრომელთა მიერ მუშაობის დროს ამრიდებელი ხელსაწყოს და სპეციალობის ტანისამოსის გამოყენების შესახებ.

შენიშვნა. შინაგან განრიგების წესების სათანადო მუხლის სისტემატიური აღუსრულებლობა გამოიწვევს მშრომელის დათხოვნას შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „დ" პუნქტის თანახმად.

3. რათა დადგენილება ესე ჯეროვანად იქნეს განხორციელებული, შრომის დაცვის ორგანოებმა (შრომის ინსპექცია) არ უნდა დაამტკიცონ ხოლმე ის შინაგანი განრიგების წესები, რომელშიაც არ იქნება სათანადო მუხლი ამრიდებელი ხელსაწყოს და სპეციალობის ტანისამოსის გამოყენების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისრიის მოადგილე **ა. იაშვილი.**
შრომის დაცვის განყოფილების გამგე **გოდაბრელიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 833 №-ში 1924 წ. მარტის 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და ა.კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წ. მარტის 23.

389. ამხანაგების მიასნიკოვისა, ათარბეგოვისა და მოგილევსკის და მფრინავთა ამხანაგების შპილისა და სალარაძის გარდაცვალების გამო მთავრობის დაწესებულებათა შენობებზე სამგლოვიარო ბაირაღლების ამართვის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და ა/კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამხანაგების მიასნიკოვისა, ათარბეგოვისა და მოგილევსკის ტრაღიკული სიკვდილისა და მათთან დაღუპულ მფრინავთა ამხ. შპილისა და სალარაძის ტრაღიკული სიკვდილის გამო მთლად ა/კ. ს.ფ.ს.რ. ტერიტორიაზე მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველა დაწესებულების შენობაზე ა/წ. მარტის 23-დან 25-დე—ამრიცხვითურთ აღმართულ იქნეს სამგლოვიარო ბაირაღები.

2. ა/კ. მარტის 23, 24 და 25 გამოცხადებულ იქნეს მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე სამგლოვიარო დღეებად.

3. მე-2 მუხლში აღნიშნულ დღეებში მთლად ა/კ. ს.ფ.ს.რ. ტერიტორიაზე მოიხსნას ყველა წარმოდგენა, კონცერტი და ყოველგვარი სხვა სანახაობა.

4. მოეწყოს კომისია ტრაღიკულად დაღუპული ამხანაგების მიასნიკოვისა, ათარბეგოვისა და მოგილევსკის და მფრინავთა ამხანაგების შპილისა და სალარაძის დასაფლავების ორგანიზაციისათვის; კომისიაში შევლენ: თავმჯდომარედ ამხ. ქართველიშვილი და წევრებად ამხანაგნი ა. გეგეჭკორი, ა. შაევრდოვი, ივანოვ-კავკაზსკი, აბაშიძე, ყურულოვი, ასრიბეკოვი, ს. იაკუბოვი და ხუმარიანი.

5. კომისიის ყოველი განკარგულება, რაც დაკავშირებულ იქნება დასაფლავების ორგანიზაციასთან, სავალდებულოა ყველა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის.

6. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს რადიოტ ელ ეგრაფით

ა/კ. ცენტრალური აღმ. კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შაევრდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 833 №-ში 1925 წ. მარტის 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

390. ამხანაგთა მიასნიკოვისა, ათარბეგოვისა და მოგილევსკის და მფრინავთა ამხ. ამხ. შპილისა და საღარაძის დაკრძალვის წამს ყველა სახელმწიფო ბაირაღის დაწევის შესახებ.

1925 წლის მარტის 2 დადგენილების დასამატებლად ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე 1925 წ. მარტის 25-ს სრულ 14 საათზე (ტფილისის დროით), ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგების მიასნიკოვისა, ათარბეგოვისა და მოგილევსკის და მათთან დაღუპულ მფრინავთა ამხ. ამხ. შპილისა და საღარაძის დაკრძალვის წამს, დაწეულ იქნეს ხუთის წამით ყველა სახელმწიფო ბაირაღი, რაც ამართულია ა/კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობისა, ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა, ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და ა/კ. რესპუბლიკების ყველა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოს შენობაზე.

2. წინა მუხლში აღნიშნულ წამს მოხდეს ტფილისში სამხედრო სალიუტი.

3. 1925 წ. მარტის 25-ს სრულ 12 საათზე, ქ. ტფილისში, შეწყვეტილ იქნეს მეცადინეობა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა, ორგანიზაციასა, ფაბრიკასა და ქარხანაში.

4. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს რადიოტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე 1925 წ. მარტის 24.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 834 №-ში 1924 წ. მარტის 25-ს.

დადგენილება № 10 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

391. ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის მოქმედებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის შესახებ—1924 წ. თე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერვლის 17 თარიღით გამოცემული (ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ., ს. კ. ს. და შ. და თ. ს. „ვესტნიკი“-ს 1924 წ. მე-2 №-რი, მუხ. 42) დადგენილების შესასრულებლად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების წიგნის პალატებს—გადასცენ ხოლმე ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს თითო ცალი ყველა მათ მიერ მიღებული ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) თხზულებათა გამოცემისა, ყველა იმ ნაბეჭდი ნაწარმოების, რაც დაწერილია სპეციალურად ვ. ი. ულიანოვზე (ლენინზე), ან რაც შეიცავს მის სურათს და სხვ. რამ გამოსახულებას; აგრეთვე ყველა წიგნი (ჟურნალი, ფურცელი, პლაკატი და სხვ.), რაც დაწერილია სოციალურ-ეკონომიურ და საისტორიო რევოლიუციონურ საკითხზე.

2. დაევალოს ყველა ფოტოგრაფიულ საწარმოს მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე, ვისაც უნდა იგი ეკუთვნოდეს, აგრეთვე ყველა იმ კერძო პირს, რომელსაც ოდესმე გადაუღია ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სურათი ცალკე ან ჯგუფში, გადასცენ ნეგატივი ან გადანაღები ფირი ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს ან განუცხადონ სად და ვის ჩააბარეს მათ ეს ნეგატივები.

აღნიშნული ნეგატივები და ფირები გადაცემულ უნდა იქნეს აგრეთვე იმ პირთა მიერ, რომელთაც ეს ნეგატივები შეუძენიათ სურათების გადამღებ საწარმოთა და პირთაგან.

3. დაევალოს ყველა კინო-საწარმოს, ვისაც უნდა იგი ეკუთვნოდეს, გადასცეს ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს ყველა იმ ფილმის დანი, რომელზედაც გადაღებულია ვ. ი. ულიანოვი (ლენინი)

4. დაევალოს ყველა სტამბას, ცინკოგრაფიას, ფოტოტიპიას, ლიტოგრაფიას, გამომცემლობას და სხვ. წარადგინოს ვ. ი. ლენინის ინსტიტუტში სამ-სამი ცალი ანაბეჭდი ყველა მათ მიერ ქონებული ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) გამოსახულებისა (კლიშე), პორტრეტისა, ნახატისა და სხვ., და ამიერიდან წარადგინონ ხოლმე სამ-სამი ცალი მათ მიერ დამზადებული კლიშესი, და თანაც აღნიშნონ სად არის იგი მოთავსებული.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მართველი **ნ. ივანიშვილი.**

ტფილისი- სასახლე 1925 წ. მარტის 17.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 838 №-ში 1925 წ. მარტის 31-ს.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის პროსპ. № 91.

მთავარლიტი № 886 შეკვეთის № 6387/1113 დაიბ. 800.